

ლიზინგის უფლების წარმოშობის რეგისტრაცია მოძრავ ქონებაზე

ლიზინგი

ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი ვალდებულია ლიზინგის მიმღებს გადასცეს სარგებლობაში განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით. ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს საზღაური დადგენილი პერიოდულობით.

ზემოაღნიშნული ლიზინგის უფლების წარმოშობისათვის აუცილებელი არ არის ამ უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში

რას ნიშნავს მოძრავ ქონებაზე ლიზინგის უფლების წარმოშობის რეგისტრაცია?

მოძრავ ქონებაზე ლიზინგის უფლების წარმოშობის რეგისტრაცია არის ამ უფლების წარმოშობის შესახებ მონაცემთა აღრიცხვა შესაბამის რეესტრში, რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით.

ვის მივმართო მოძრავ ქონებაზე ლიზინგის უფლების წარმოშობის რეგისტრაციისათვის?

მოძრავ ქონებაზე ლიზინგის უფლების წარმოშობის რეგისტრაციისათვის მიმართეთ იუსტიციის სახლს. თან იქონიეთ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება (ელექტრონული განცხადება ივსება საბუთების მიმღები ოპერატორის მიერ);
2. თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
3. ლიზინგის უფლების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ. ლიზინგის ხელშეკრულება);
4. სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (გადახდა შესაძლებელია ადგილზე);

იმ შემთხვევაში თუ თქვენ ხართ დაინტერესებული პირის წარმომადგენელი მაშინ დამატებით წარმოადგინეთ სათანადო წესით დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

ბოქსის ინფორმაცია:

კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დამატებით მოთხოვნილ იქნეს ნებისმიერი დოკუმენტი

ან ინფორმაცია, რაც აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად.

ვადა დასაფასური:

მომსახურების ვადა	მომსახურების ტარიფი
დაუყონებლივ	30 ლარი